ხუთშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 16 (29) № 254
წელიწადი მესამე

ხუთშაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 16 (29) № 254
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფულები და წერილები, რომელიც კონტორას ეგზავნება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სამგლოვიარო განცხადებანი უნდა შემოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

მოსკოვში ხმაა, კავკასია რუსეთს გამოეყო და საკუთარი მთავრობა შეადგინაო.—ჩერნოვის ჯგუფი ბოლშევიკებთან მუშაობის მომხრეა.—ბოლშევიკურ მთავრობამ თავისი წარმომადგენლები დანიშნა რომსა, პარიზსა და ლონდონში.—გამოქვეყნდა წოდებრივობის გაუქმების დეკრეტი.—ლენინმა ფინანსების სამინისტროს მთავარი მოხელენი დაითხოვა.—დონეცში კალედინის წინააღმდეგ ჯარები გაიგზავნა.—კერენსკი ფინლიანდიაში გაქცეულა.—გერმანელთა წყალქვეშამ რუსის ტრანსპორტი ააფეთქა.—საფრანგეთიდან რუსის ჯარები ძალად სალონიკში გადიყვანეს.

წერილებიდან

გ. ვეშაპელი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა.
ლ. ჯ. დაიცავით არჩევნების თავისუფლება.

ერეკლე ლუკაშვილი. არჩევნები თბილისში.
მ. ჯანაშვილი. მოწინავე [illegible] (გაგრძელება).
კორესპონდენცია ქართლიდან.

ქართველ მხედართა ფიცი.

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 16.
ოთხშაბათს 16, ორშაბათს 20 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება
ორჯელ ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა.
I
სულელი
დრ. 3 მოქმ.
II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქილაძე ჯიშვილი მ., ქიქოძე ნ., ივერიელი ა., ჩერქეზიშვილი ლ., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვას., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., მეტრაძე ვ., ქუცნძე ს., შალიკაშვილი ვ., ცაციშვილი ნ.
3--336--3 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

საჯარო ვაჭრობა
გიორგობისთვის 17-ს ყარაიაზში საერობო კავშირის 200 ცხენი საჯაროდ გაიყიდება.
3—387—1

Г. ГВАЗАВА
ГРУЗІЯ
съ точки зрѣнія
МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА
გამოიცა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.
10—7

ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)
იყიდება
ბათუმში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.
დაწვრილებითი ცნობების მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბათუმში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—33

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

მამულიშვილნო!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს კერძო მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თაოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამრავლება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს...

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია [illegible] მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

მამულიშვილნო!

ვისაც გწამთ რომ მთლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრეს თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული,

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8 ს.

მესაკუთრენო!

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს!

მშრომელნო! ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც [illegible] ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

მიეცით ხმა საარჩევნო სიას №

8

1. **კედია** სპირიდონ მელხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბექანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ყურული** გიორგი ღურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

არჩევნები სოფლად 18 გიორგობისთვეს თავდება

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა

გაუთავებელ ომით გაბრაზებულ ჯარის აჯანყებამ დაანგრია რუსეთის იმპერია. რუსეთი იმდენ სახელმწიფოდ დაიყო, რამდენი სახელწოდებაც ჰქონდათ რუსთა ძველ მეფეებს... შავ-ზღვიანი უკრაინისა და ჩრდილო-კავკასიან ყაზახ-მთიელთა კავშირის „რესპუბლიკებმა“ მოსჭრეს ჩვენი ქვეყანა პეტროგრადსა და მოსკოვს. თვით ყაზახთა მხარე პურის ბეღელია როგორც საქართველოსათვის, ისე იმ მილიონიან რუსის ჯარისათვის, კავკასიის ფრონტზე რომ სდგას. პურის საყიდლად ფულია საჭირო, თუნდაც ქაღალდის... თბილისის ბანკებში ფული გამოლევაზეა, ახალს კი ბოლშევიკების სამინისტრო არ მოგვცემს, თვითონაც რომ არ აკლდეს... ამიტომ აუცილებელი გახდა კავკასიონის ქედის აქეთ ისეთი მთავრობის შედგენა, რომელსაც ხალხისა და ჯარის გამოკვებისათვის და გარეშე და შინაურ საფრთხეს თავიდან ასაცილებლად სათანადო სამხედრო, საფინანსო და პოლიტიკური ძალა ექნებოდა.

და აი, ასეთი მთავრობა უკვე დაარსეს იმ სათათბირო—„პარლამენტიდან“, რომელიც შედგა თბილისში რუს-ქართველ-სომეხთა და თათართა სოციალისტურ პარტიებისაგან... ამ პარლამენტმა უკვე აირჩია სამინისტრო „კომისარიატი“...

ამგვარად, დღეს საქართველო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. სად წაგვიყვანს ცხოვრება, წინ—საქართველოს რესპუბლიკისაკენ, თუ უკან—რუსეთის პროვინციულ მართველობამდე—ეს უფრო საგარეო ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული, ვიდრე შინაურ ეროვნულ ძალთა განვითარებაზე, რომლის პირველი თავდებია 19 გიორგობისთვისათვის მოწვეული ეროვნული ყრილობა. თავად-აზნაურობის კრების მემკვიდრეობასთან ერთად ამ კრებას ჰხვდება წილად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების საძირკვლის ჩაყრა. თვით სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ერთობა“ გვამცნობს, რომ ეროვნულ კრების საქმეა „ისეთ პირობების შექმნა, რომელიც საქართველოს თვითმართველობის განხორციელებას შესაძლებლად გახდის“...

ამგვარად 19 გიორგობისთვის კრება ბედს სწყვეტს საქართველოსათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მეთაურ მთავრობას დიდი საკითხები აქვს გასარკვევი, როგორც საგარეო, დიპლომატიური, ისე საშინაო, სოციალურ-პოლიტიკური.

შავი ზღვის ფლოტი შავი ზღვის პირის და კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებას ჰფიქრობს, უკრაინის ცენტრალ რადის კომისარი ისეთი საერთაშორისო კავშირის შედგენას ჰფიქრობს ტფილისში, რომელიც კიევის განკარგულებათა აღმასრულებელი იქნება... ყაზახ-მთიელთა კავშირი სოხუმს იერთებს... ადერბეჯანი ბათომისკენ იწევს... საქართველოს ისეთი რკალი ეკვრება გარშემო, რომ ზღვისკენ გასავალ კარების საკითხი იბადება... საშინაო ცხოვრებაც ირევა... სოციალისტები, მარტო ბოლშევიკები კი არა, სხვებიც დიდ სოციალურ რეფორმების განხორციელებას აპირობენ, განსაკუთრებით მიწის საკითხის გადასაჭრელად... საქართველოს ასეთ დროს არ შეუძლია თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საქმე ამიერ-კავკასიის კომისარიატს და კოალიციას მიანდოს... იმ კომისარიატს, რომელშიც მარტო სოციალისტური პარტიებია წარმოდგენილი...

თუ ავტონომიური კომისარიატები აუცილებელი გახდა ამიერ-კავკასიისათვის, აუცილებელია საქართველოს კომისარიატიც.

გ. ვეშაპელი.

დაიცავით არჩევნების თავისუფლება?

რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები ქალაქებში თითქმის ყველგან დასრულდა. ხოლო სოფლებში 18 გიორგობისთვემდე კიდევ სწარმოებს.

ქართული სოფელი ჯერ კიდევ საარჩევნო ალმურშია გახვეული და ჩვენი გლეხკაცობის ძარღვები კიდევ მძაფრად არის დაჭიმული საარჩევნო აგიტაციით.

ყოველი პარტიის წარმომადგენელი თავისკენ ჰხრის ხალხს და თავისებურ ზომებს ხმარობს თავის იდეის განსამტკიცებლად.

ეს არჩევნები პირველია ჩვენში დემოკრატიული წესით წარმოებული; წინა საქალაქო არჩევნებით საზოგადოება რამოდენადმე მომზადებულია საარჩევნო ტეხნიკისათვის, ხოლო სოფლები უმეტეს ნაწილად პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი, რომ სწორედ იქ არ მოხდეს ბოროტმოქმედება.

არ კმარა მარტო დემოკრატიული წესის დადგენა; საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარებაც!

დღევანდელ არჩევნებში, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას და ძალადობას; ჩვენ ყოველ დღე მრავალი დეპეშები მოგვდის საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებიდან, რომ ქალაქად და სოფლად ზოგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი, პარტიულ ფანატიზმით გატაცებულნი ხელს უშლიან თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ, ჰხევენ საარჩევნო ბიულეტენებს და დაპყრობილ ადგილებში თავიანთ გარდა არავის არ უშვებენ.

განსაკუთრებით ბევრი ასეთი ხასიათის ცნობები სოციალ დემოკრატიულ პარტიის თანამგრძნობთა და წარმომადგენელთა შესახებ მოგვდის.

ჩვენ გვრწამს, რომ პარტია, რომელსაც ყველაზე მეტი მოეთხოვება, თავისუფლების დაცვა თავის პარტიის იარაღად, ძალადობას არ გამოიყენებს, მაგრამ მოვალეა მოსთხოვოს პასუხი და გავლენა იქონიოს ზოგიერთ თავის პროვინციელ თანამოაზრეთაგან, რომელთაც ვიწრო ფანატიზმის გამო ავ წყვეტიათ პარტიული ეთიკაც და უბრალო სინდისიერობაც.

გვატყობინებენ აგრეთვე, რომ თითო მილიციონერები იარაღით ემუქრებიან ამომრჩევლებს და ძალადობას ხმარობენ მათზე.

ჩვენ გვესმოდა, როცა ძველ რეჟიმის დროს ადმინისტრაცია ერეოდა არჩევნების საქმეში და სხვა და სხვა ხრიკებითა და გავლენით თავის წადილს ასრულებდა; ასეთი ქცევა მათთვის სისტემა იყო და ამგვარ უკანონობაზე იყო დამყარებული იმ წყობილების მთელი მართველობა, მაგრამ როდესაც სარევოლუციო ადმინისტრაცია ისეთს პარტიის ხელში მყოფი, როგორიც სოციალ-დემოკრატიაა, იმეორებს ძველ პოლიციის ჩვეულებებს, ეს უკადრისი დარღვევაა დემოკრატიული პრინციპებისა და ჩვენ არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ.

მართალია, რუსეთში ბოლშევიკებმა სიტყვის თავისუფლება „წვრილ ბურჟუაზიულ მცნებათ“ გამოაცხადეს და იქ შექმნეს ახალი ცენზურის ტერორი, მაგრამ ასეთმა მათმა ქცევამ ისე აღაშფოთა მთელი საზოგადოება, რომ ცენზურის დეკრეტის ავტორებმა თვითონ მოსპეს იგი.

საქართველოში ჩვენ მეტი უფლება გვაქვს მოვითხოვოთ არჩევნების თავისუფლება და მოვითხოვთ თვალყური ადევნონ პასუხისმგებელ ცენტრებიდან, რომ ადგილი არ ჰქონდეს არჩევნების შეზღუდვას და მიეცეს ყოველ მოქალაქეს თავის ნების გამოთქმის საშუალება.

დ. ჯ.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის შტაბის ცნობა.

ბანაკი. გიორგობისთვის 11 გუშინ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე მტრის 2 ჰაეროპლანი 30 მეტრამდე დაეშვნენ და ერთ-ერთს ჩვენს ჰაეროდრომს ტყვიის-მფრქვეველებით სროლა აუტეხეს. საგრძნობი ზარალი არ მიუყენებიათ.

მფრინავთა მოქმედება.

რომამედ ლაშქარი. გიორგობისთვის 11. რუმინეთის ფრონტი. ფოკშანის მიმართულებით ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკებს სროლა აუტეხეს, რამოდენიმე ალაგას ცეცხლი გააჩინეს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. პოდოლის მიმართულებით გერმანელებმა წაასხეს ჩვენი ძოდარაჯები (20 კაცი), მათში ერთი ოფიცერი მოჰყვა.

დასავლეთის ფრონტზე. პირდაპირ თხრილებში ხდება დაძმობილება. დასაძმობილებლად მოზღვავებულ გერმანელებს ჩვენ იარაღით ვფანტავთ.

დასავლეთის ფრონტი

იტალიის ფრონტის გარღვევა

გერმანეთის შტაბის ცნობა

გერმანელთა უმაღლესი ტელეგრაფს შტაბისთვის უცნობებია: „მდინარე პიავეზე იტალიელები სისხლიდან დაიცალნენ, მაგრამ უკან ვერ დაგვახევინეს. უკანასკნელ 4 თვეში გერმანელებს წამოუყვანიათ 450,000 ტყვე იტალიელი და ხელთ უგდიათ 3230 ზარბაზანი, აურიცხელი ტყვიისმფრქვეველები, ნაღმისმტყორცნელები და სხ.

იტალეთი და ამერიკა

იტალეთს კიდევ უთხოვნია დახმარება ამერიკისათვის. ამის გამო ნიუიორკის ერთი გაზეთი სწერს: ამერიკა მხოლოდ ენით ეხმარება იტალეთს და ჩვენი დახმარება გერმანეთის დახმარებას არ წააგავსო.

მეომართა ძალთა განწყობილება

ჰოლანდიიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირე სახელმწიფონი გამუდმებით სთხოვენ იაპონიას და ამერიკას, დიდი ჯარი გადმოსხან ევროპაში, რადგანაც მოკავშირენი ბოლოდროს ერთობ დასუსტდნენ: იტალეთმა ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგა, ხოლო საფრანგეთის ჯარში გასაწვევები აღარა ჰყავს. ცენტრალ სახელმწიფოები კი პირიქით გაძლიერდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის ფრონტი გამოასწორეს. იაპონიის აქტიურად გამოსვლის შესახებ საერთოდ ნეიტრალური პრესა იმ აზრისაა, რომ იაპონია ძალას არ იმეტებს, რადგანაც მას განზრახვა აქვს ომის გათავების შემდეგ თეთრი ხალხის, ევროპ-ამერიკის წინაშე თავისი საკუთარი ინტერესები დაიცვას.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

ფრანგული პრესა და ბოლშევიკები

საფრანგეთის საზოგადოება ერთობ მტრულადაა განწყობილი ბოლშევიკებისადმი. გაზეთები პირდაპირ იძახიან, ჩვენ გვაქვს იმის საბუთები, რომ რუსის ბოლშევიკები გერმანელების მიერ არიან მოსყიდულნიო.

კორნილოვის კანდიდატურა

სლავიანთა დამკვრელმა პოლკმა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე თავის მხრით კანდიდატად გენერალი კორნილოვი დაასახელა.

ბოლშევიკების დეკრეტები

სახალხო კომისრების საბჭო ამზადებს დეკრეტს სენატის დახურვის შესახებ, სპეციალურ და კომერციულ სასამართლოს მოსპობისა და ერთ სახიანი სასამართლოს მოწყობის შესახებ.

ახალი მთავრობის ორგანიზაცია

უკანასკნელ ცნობებით სმოლნიში გაუწყვეტელი თათბირია მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. თათბირში მონაწილეობენ: გოცი, ჩერნოვი, ბოგდანოვი და სხვანი. ახლად ჩასულან მილიუკოვი, ვინავერი, გესსენი და გენერალი ივანოვი.

კრილენკოს წინააღმდეგ

დაუწყვეტია შტაბს პეტროგრადიდან მახაკისაკენ გამგზავრებული პრაპორშჩიკი კრილენკო, რომელიც სახალხო კომისრების საბჭომ უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნა.

მოსკოვში

ქალი პრაპორშჩიკები

ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი გაუთავებია 25 ქალს. ბოლშევიკების თავდასხმისაგან კრემლის დაცვაში ქალი-პრაპორშჩიკები დიდ მონაწილეობას იღებდნენ თურმე. ორი მათგანი ბოლშევიკებმა ტყვედ წაიყვანეს, სამი მძიმედ დაიჭრა. ორი კვირა თურმე ტანთ გაუხდელი იყვნენ და იბრძოდნენ მამაკაცებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ჯარისკაცთა საბჭოს არჩევნები

ხელმეორედ არჩეულ დეპუტატთა საბჭოში წევრებად შედიან: 202 ბოლშევიკი, ერთი მათი თანამგრძნობი, 12 მენშევიკი-ინტერნაციონალისტი, ერთი ანარქისტი და 63 უპარტიო.

გასაგზავნ იარაღის დაჭერა

ფრონტზე გაგზავნილი იარაღი ბოლშევიკებს დაუჭერიათ და თავის მომხრეებისათვის დაურიგებიათ.

კატორღელების მოქმედება

ბუტირკის ციხე გაუღიათ და ყველა კატორღელები გასულან. ახლა ეს კატორღელები ორივე მხარეს, როგორც მთავრობის ჯარს ისე ბოლშევიკებს სახურავებიდან სროლას უწყებენ.

ტელეგრაფისტების თხოვნა

გიორგობისთვის 3-ის „ნოვაია ჟიზნ“-ი გადმოგვცემს: მოსკოვის ტელეგრაფისტები სთხოვენ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტისაგან, რომ მათ ძალადობას და დეკრეტით მუქარას თავი დაანებონ. სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი სთხოვს ტელეგრაფის ძმებს, რომ მუშაობა არ შესწყვიტონ.

„გასტროლიორები“

როდესაც მთავრობის ერთგულ და ბოლშევიკურ ჯარის შორის ჩამოვარდნილ დროებით შერიგების დროს ბოლშევიკებს მაინც არ შეუწყვეტიათ სროლა, ამაზე მათ ბელადებს უთქვამთ ქალაქში მოქმედებენ ჩამოსული „გასტროლიორები“, რომელთაც მიზნად მოსკოვის განადგურება დაუსახავთო.

ყუბანის ოლქში

კალედინის განცხადება

კალედინი დეპეშით აცნობებს უმაღლეს მთავარსარდალს: „არც მე და არც სამხედრო მთავრობას არ გაგვიცია ბრძანება, ანდა მოწოდება, ყაზახების დონის ოლქში დაბრუნების შესახებ. ასეთ ხმებს პროვოკაციულად ვთვლი და ლაშქრის მიერ თავნებობით ფრონტის დატოვება ხომ სამშობლოს ღალატად მიმაჩნია“.

კალედინი ნოვოჩერკასკში

ნოვოჩერკასკი. გიორგობისთვის 7. კალედინი ნოვოჩერკასკში იმყოფება. აქედან იგი არსად წასულა და არც ყაზახთა ჯარები გაუგზავნია სადმე.

სამხედრო მთავრობის აზრი

სამხედრო წრეები და მთავრობა იმ აზრზე დგანან, რომ ყაზახობა არ უნდა ჩაერიოს ბოლშევიკების დროებით მთავრობასთან ბრძოლაში. მათი აზრით ყაზახები არც თუ მშვიდობის ჩამოსაგდებად უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

ყაზახები და დონეცის ოლქი

უკანასკნელ ცნობებით ყაზახები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ დონეცის ოლქში გამწვავებულ

ხარკოვში

გამოცხადდა ასოთ-ამწყობთა საერთო გაფიცვა.

პროვინციაში

ხაბაროვსკის ლტოლვილები

მანჯურიის რაიონში ლტოლვილთა რიცხვი მეტად იზრდება. უმუშევრობა უფრო ძლიერდება. მანჯურიის კომიტეტს საშუალება არა აქვს დახმარება აღმოუჩინოს.

ბრიანსკის ტელეგრაფი

ბრიანსკის ტელეგრაფზე ბოლშევიკებმა კონტროლი დააწესეს. მოსამსახურეთ მუშაობა შესწყვიტეს. ერთ დღის შემდეგ ბოლშევიკები ტელეგრაფს ჩამოშორდნენ და მოსამსახურეებმა კვლავ მუშაობა დაიწყეს.

ყაზანის ამბები

ყაზანის შესახებ ღვ. ნოემბრისთვის 29-დან არავითარი ცნობა არ მისულა მოსკოვში. ცარიცინის ერთ გაზეთში მოყვანილია ყაზანიდან გიორგობისთვის 2-ის თარიღით მიღებული დეპეშა. ყაზანში საარტილერიო ცეცხლის საწყობები გაიცალა. ამ ჟამად ტელეგრაფის შენობა განყოფილება ბოლშევიკების ხელშია. კანტორაში საბჭოს წევრები მორიგეობენ. არტილერისტები აცხადებენ, ჩვენ ბოლშევიზმთან საერთო არა გვაქვს რა, ჩვენ მხოლოდ იუნკრებს ვესროდით, რადგან ისინი ძველ რეჟიმის და კორნილოვშჩინის მომხრენი არიანო. შესდგა სარევოლუციო შტაბი. პრაპორშჩიკების სკოლის უფროსი გენერალი კოცონზე დასწვეს. ამ ჟამად ქალაქში სიმშვიდეა, მაგრამ შემდეგში რა მოგველის, ღმერთმა იცის.

უკანასკნელ ცნობებით, ბოლშევიკებს გაუუქმებიათ პურის მონოპოლია და ვაჭრობის თავისუფლება გამოუცხადებიათ.

მდგომარეობა ეკატერინოდარში

ბოლშევიკურად განწყობილ არტილერისტების იარაღის აყრის გამო გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ქალაქში პატრულები გააძლიერეს. დაჟინებით იძახიან, რომ ბოლშევიკებს ყუბანის ოლქისკენ ორი დივიზია მო-

ზღვაურთა და ქვეითა ჯარისაგან შემდგარი, უკვე გამოუგზავნიათ. ბოლშევიკების დელეგაცია დაატუსაღეს.

რომანოვთა ყარაულების გამოცვლა

იალტიდან იტყობინებიან, რომ რომანოვთა ძველი ყარაული გადააყენეს და ახალი, ბოლშევიკებისაგან შემდგარი ყარაული დააწესეს.

უკანასკნელი დეპეშები

საფრანგეთის სამხედრო დესპანმა გენ. ბერტელომ თავისი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ საფრანგეთი არა სცნობს სახალხო კომისრების მთავრობას, რომელიც მტერთან შეთანხმებას აპირებს. საფრანგეთი დაურღვევლად სცნობს რუსეთთან წინად დადებულ ხელშეკრულებას.

—

გამოიცა წოდებრივობის გაუქმების დეკრეტი.

—

ერთიან სოციალისტურ მთავრობის შესაქმნელად ჩერნოვი პეტროგრადს წავიდა.

—

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ცნობით მოსკოვში დიდი ძალი ფქვილი მისულა.

—

კალედინის წინააღმდეგ სამოქმედოთ მეზღვაურ მიჩენკოს უფროსობით განსაკუთრებული ლაშქარი სდგება.

—

კონტრ-რევოლუციონერების გამოსვლის შიშით „მეორე რევოლუციის“ მსხვერპლთა დასაფლავება გადაიდო.

—

„ნოვოე ვრემია“-ს მაგივრად გამოსულ „უტრო“-ს ცნობით კერენსკი ფინლიანდიაში იმყოფება.

—

მოსკოვში დამფუძნებელი კრების არჩევნები უხალისოდ დაიწყო. მოწოდებებს და პლაკატებს ბოლშევიკები ანადგურებენ.

—

გლეხთა ყრილობა ბოლშევიკებს დარჩათ. ზომიერნი გავიდნენ.

—

გერმანეთში საზავო დემონსტრაციები ხდება. ბერლინში დემონსტრანტები ჟანდარმებმა გაჰფანტეს. ბევრ ადგილას შეიარაღებულმა ძალამ დემონსტრაციებს ხელი ვერ შეუშალა. დაიწყო ჩხრეკა და დაპატიმრება.

—

ლენინმა ფინანსთა სამინისტროს მოხელენი დააპატიმრა.

—

მენშევიკ გოცს ბოლშევიკები შეიარაღებულ ამბოხების მზადებას აბრალებენ.

—

გერმანელთა წყალქვეშამ ბალტიის ზღვაზე ააფეთქა რუსეთის ტრანსპორტი.

—

ბოლშევიკები თავის ელჩებს ჰნიშნავენ ყველა სახელმწიფოებში. ძველები უნდა გადააყენონ.

—

საფრანგეთში მყოფ რუსის ჯარის წინააღმდეგ ფრანგებმა რეპრესიებს მიმართეს. ნაწილი სალონიკში გადაიყვანეს, ნაწილი მძიმე სამუშაოებზე დააყენეს.

—

ქაღალდის მანეთიანი მანჯურიაში 7 კაპ. ღირს.

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.

ქრონიკა

თბილისი

◆ **პირველი სხდომა.** ამიერ-კავკასიის ახალ მთავრობამ პირველი სხდომა ჰქონდა გუშინ, გიორგობისთვის 15-ს. კრებას დაესწრო ხუთმეტივე წევრი.

◆ **ეროვნული ყრილობა.** უკვე დასახელებულ საზოგადოებათა გარდა, ეროვნულ საბჭოს დადგენილებით, ეროვნულ ყრილობაზე წარმომადგენლების გამოგზავნის ნება მიეცათ: ყვარელს—1, საურთიერთო ნდობის საზოგადოებათ (ბათუმის, სოხუმის, თბილისის და ქუთაისისას)—1, ქართველ კათოლიკებს—1, ქართველ მაჰმადიანთა საზოგადოებას—1.

ეროვნულ ყრილობის შესახებ ყველა ცნობის მიღება შეიძლება სატეხნიკო კომისიის მდივანთან—დ. სულიაშვილთან, საღამოს 6—7 საათზე, ფრეილინის ქუჩა, 11.

— საკათალიკოზოს საბჭომ ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია დეკ. ნიკ. თალაკვაძე, რომელიც კათალიკოზის ეპისტოლეს წაიკითხავს ყრილობაში.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს სურსათ-სანოვაგის მყიდველი ბიურო. საქონელს შეიძენს იგი ამიერ და ჩრდილო კავკასიაში. კომიტეტს თავისი საწყობები ექნება თბილისში და ნაყიდ საქონელს სამართლიანად გაანაწილებს.

◆ **სპირტეულობის გაყიდვა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას აზრად აქვს სპირტეულობის ვაჭრობა მოათავსოს თბილისში მხოლოდ ორ ფირმაში დ, სარაჯიშვილისა და არგოში.

◆ **მეპურეების ხრიკები.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას გამოურკვევია, რომ მეპურეები ხშირად ატყუებენ მყიდველებს: თორნიდან ახლად გამოღებულ პურს ჰყიდიან, რაიცა ზედმეტს იწონის, ხშირად მეოთხედ გირვანქით ნაკლებს აძლევენ და სხ. რაც მეტი პური რჩებათ, რესტორანების და სასადილოების პატრონებს აძლევენ გირვანქას სამ აბაზად და მანეთადაც. საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ დაადგინა შემუშავებულ იქნეს პროექტი, რომ რესტორან-სასადილოებში სრულებით არ იხმარებოდეს პური და რომ მოსადილეებმა თან მიიტანონ თავისი პური.

◆ **ქალაქის გამგეობა და ყასბები.** ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ითათბირა სურსათ-სანოვაგისა და ნიხრის დაწესების შესახებ. უმთავრესად შეეხენ ხორცის საკითხს. ყასბები ამ ბოლო დროს მეტად ძვირად ჰყიდიან ხორცს, მაშინ როდესაც ადგილობრივ ბევრია საკლავი საქონელი, შედარებით არც ძვირად ფასობს: ადგილობრივ ფუთი ცოცხალი საქონელი 11 მანეთია, ხოლო თბილისში 22—23 მან. ეს რომ თბილისის ყასბებმა გაიგეს, გიორგობისთვის 14-ს სრულებით აღარ გამოაჩინეს ხორცი გარდა კამბეჩის ძვლებისა და თავ-ფეხისა; მალულად გირვანქა ხორცს 2 მანეთად ჰყიდდნენ, რამაც გამოიწვია შინაური ფრინველების გაძვირება; ერთი ინდაური, მაგალითად, 25 მან. ფასობდა.

◆ **ქართული პედაგოგიური საბჭო.** ხუთშაბათს, გიორგობისთვის 16, საღამოს 7 საათზე სამოსწავლო ოლქის ბინაზე (გოლოვინის პროსპექტი, ოქროენის სახლი) გაიმართება ქართული პედაგოგიური საბჭოს კრება. კრების საგანი: სკოლებში ქართული გრამატიკის სწავლება.

◆ **ტუსაღების აჯანყება.** ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეში ტუსაღებმა მოითხოვეს გაეწვდათ ბიულეტენების ჩასაგდებად საარჩევნო პუნქტებში. რადგან მათ უარი მიიღეს ციხის ადმინისტრაციისაგან, ძალად დააპირეს წასვლა, რასაც შეტაკება მოჰყვა 1 კაცია მოკლული და 4 დაჭრილი.

◆ **ახალი გადასახადი გასართობებზე.** ქალაქის გამგეობას აზრად აქვს გაასამკეცოს გადასახადი გასართობ დაწესებულებებზე. გამგეობას იმედი აქვს, რომ ახალი გადასახადი ქალაქის კასას 400 ათას მანეთამდე შესძენს წლიურად.

ქუთაისი

◆ **გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.** 8 ნოემბერს ქუთაისში შესდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი 1) მთელი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წოდების ქონება გამოცხადდეს სრულიად ქართველი ერის ქონებათ, ხოლო სანამ საქართველოს დამფუძნებელი კრება იქნება მოწვეული და დამყარდება საქართველოს ავტონომია, გადავიდეს ეს ქონება ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს განკარგულებაში. თავად-აზნაურთა ქონებას დღეს დღეობით შეადგენს ქუთაისის ქართული გიმნაზიის შენობა, ახალ სენაკის სააზნაურო შკოლის შენობა და ნაწილი სადგილ-მამულო ბანკის შენობისა. 2) მიიღოს ზომები რათა თავად-აზნაურთა მამულებზე დარჩენილი გადასახადები აკრეფილ იქნეს. ასეთი გადასახადი შესაკრები ყოფილა სულ 176,487 მანეთი. აქედან მარტო მინგრელსკიზე ყოფილა 63,000 მანეთი. მინგრელსკის შესახებ კრებამ დაადგინა: მიენდოს გუბერნიის მარშალს, რომ გასაჩივროს და მინგრელსკის ეს თანხა გადაახდევინოს. 3) ადრეულ

№ 8 Закавказскій Избирательный Округъ № 8

Голосую за списокъ Грузинской Націоналъ демократической партій	ხმას ვაძლევ ქართულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას
№ 8	№ 8
1. Кедія, Спиридонъ Малхазовичъ	1. კედია, სპირიდონ მალხაზის ძე
2. Гвазава, Георгій Бежановичъ	2. გვაზავა, გიორგი ბეჟანის ძე
3. Карумидзе, Шалва Александровичъ	3. ქარუმიძე, შალვა ალექსანდრეს ძე
4. Мачаваріани Іосифъ Константинович	4. მაჭავარიანი, იოსებ კონსტანტინეს ძე
5. Бежанидзе, Сулейманъ Бегъ	5. ბეჟანიძე, სულეიმან ბეგი
6. Церетели, Василій Георгіевичъ	6. წერეთელი, ვასილი გიორგის ძე
7. Вешапидзе, (Вешапели) Григорій Георгіевичъ	7. ვეშაპიძე, (ვეშაპელი) გრიგოლ გიორგისძე
8. Журули, Георгій Дурмишхановичъ	8. ჟურული, გიორგი დურმიშხანის ძე
9. Гордезіани, Георгій Павловичъ	9. გორდეზიანი, გიორგი პავლეს ძე
10. Иваницкій (Ингило) Рафаилъ Александровичъ	10. ივანიცკი, (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე
11. Кекелидзе, Корнелій	11. კეკელიძე, კორნელი
12. Нижарадзе, Реджебъ Бекъ	12. ნიჟარაძე, რეჯებ ბეგი
13. Торадзе, Александръ Давидовичъ	13. თორაძე, ალექსანდრე დავითის ძე.

მისაც ბიულეტენი არ მიგიციათ, ამოსჭერით ამ შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

სოფლად 18 გიორგობისთვეს თავდება

თუ რაიმე მიზეზით ვისმეს საარჩევნო მოწმობა არ მიუღია, შეუძლიათ მიიღონ თავიანთ საარჩევნო უბნებში.
ბიულეტენზე ხელის მოწერა არ შეიძლება.
ბიულეტენი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მისცეს.
ამომრჩევლები კონვერტებს საარჩევნო უბნებში მიიღებენ.
ამომრჩეველი ჩასდებს კონვერტში ბიულეტენს, დახურავს მას და ისე მისცემს კომისიის თავმჯდომარეს.
კონვერტში მხოლოდ ერთი ბიულეტენის ჩადება შეიძლება.

იქმნას აგრეთვე საკითხი ქართული გიმნაზიის მასწავლებლების მატერიალურად უმწეო მდგომარეობაზე, რის გამოც კრებამ დაადგინა: ეთხოვოს სადგილ-მამულო ბანკს, რომ ყურადღება მიაქციოს მათ მდგომარეობას და რითაც შეიძლება შემწეობა აღმოუჩინონ.

◆ **ქართველ მხედართა ხმა.** (დეპეშა) ჩრდილოეთის ფრონტის ქართველ მხედრების დელეგატთა ყრილობა დიდად დაამწუხრა ქუთაისის დარბევის ამბავმა. ყრილობამ დაადგინა თავისი ღრმა აღშფოთება და ზიზღი გამოუცხადოს საზოგადოების ნაძირალებს, რომელთაც ამ სამარცხვინო დარბევის მოხდენით ტალახში ამოსვარეს რევოლიუციის წმინდა დროშა. ყრილობის თავმჯდომარე ექიმი ი. ხნელი.

◆ **ხროლა.** გიორგობისთვის 8-ს ორპირის ქუჩაზე რამდენიმე აფიცერმა სროლა ასტეხა. ერთი მათგანი დაიჭირა.

◆ **პურის ფქვილი.** ბათუმის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე აცნობებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო სამმართველოს, რომ ქუთაისისათვის გადადებულია გასაგზავნად 10 ვაგონი პურის ფქვილი, მაგრამ ვაგონები არ მოგვეპოვება.

◆ **ინსპექტორის დამტკიცება.** ამიერ-კავკასიის სახალხო განათლების კომისარიატმა ქუთაისის გუბერნიის პირველი რაიონის ინსპექტორად დაამტკიცა მასწ. წითლიძე.

ახალ-სენაკი

◆ **დაფნის ფოთოლი.** აქ იშოვება 80.000 ფუთი დაფნის ფოთოლი. ფუთი დაფნის ფოთოლი ფასობს 80-დან 85 მანეთამდის.

ბათუმი

◆ **ახალი სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა.** ბათუმის ბირჟის კომიტეტის ზოგ ვაჭრებისა და ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებათა თაოსნობით შესდგა ახალი სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „კომერსანტი", რომელმაც მიზნად დაისახა მრეწველობის სხვა და სხვა საგნების დამზადება და ვაჭრობის გაძლიერება.

სოხუმი

◆ **უსურსათობა.** რადგანაც სურსათის ნაკლებობა საგრძნობი გახდა, სათემო ცენტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ დასასვენებლად ჯარი არ გამოგზავნონ.

ახალ-სენაკი

◆ **უსურსათობა.** სურსათი ბოლო დროს ერთობ შემცირდა. პურის ფქვილი სრულებით არ იშოვება.

ჭიათურა

◆ **კოოპერატივის გატეხა.** ღამით გატეხეს კოოპერატივის „ჩვენი ოჯახის" ბინა. სალაროსთვის რომ ვერაფერი დაუკლიათ, 18 თოფი შალი მოუპარნიათ ბოროტმოქმედებს და მიმალულან.

საჩხერე

◆ **შიმშილი.** სურსათის სიძვირემ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ბაზარზე გასასყიდად პური აღარ მოიპოვება სრულიად. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი 2 დღე უპურილოდ ყოფილან.

ამიერ კავკასიის ახალი მთავრობა

(კომისარიატი)

გიორგობისთვის 14-ს სავსებით შეივსო ამიერ კავკასიის ახალი მთავრობა. მუსულმანების მხრივ შემდეგი წარმომადგენლები შევიდნენ მთავრობაში: **ხან-ხოისკი** (ბაქოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე), მელიქ-ასლანოვი, ჯაფაროვი და ხასმამედოვი (მე-2 და მე-3 სახელმწიფო სათათბიროს წევრი, განჯის ქალაქის მოურავი). იმავე დღეს განაწილებულ იქმნა პორტფელები: თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა **ევ. გეგეჭკორი** და მასვე ჩაჰბარდა შრომის პორტფელი; შინაგან საქმეთა და ფოსტა-ტელეგრაფის ხელმძღვანელობა მიენდო **აკაკი ჩხენკელს**, სამხედრო და საზღვაო—**დ. დონსკოის**, ფინანსებისა—**კარჩიკიანს**, ვაჭრობა-მრეწველობისა და განათლებისა—**ჯაფაროვს**, გზებისა—**მელიქ ასლანოვს**, იუსტიციისა—**შალვა მესხიშვილს**, სურსათისა—**ტერ-კაზარიანს**, მიწად-მოქმედებისა—**ნერუჩევს**, მზრუნველობისა—**ოგანჯანიანცს**, კონტროლი—**ხასმამედოვს**.

გენ. ვასილ გაბაშვილი

გენერალი ვასილი გაბაშვილი კავკასიის სამხედრო მთავრობის შუამდგომლობით წმ. გიორგის იარაღით დაჯილდოვეს. (წმინდა გიორგის ჯვრით უკვე დაჯილდოვებულია.) ფირმანში სწერია, რომ „მან ოსმალეთის ფრონტზე 1914 წლის ქრისტეშობისთვის 23 დევიკთან ქრისტეშობისთვის 27 ეილა ბარდუსთან და სოფ. ბარდუსთან გენერალმა ვასილ გაბაშვილმა დაამარცხა მტერი, ტყვედ წამოიყვანა 4.000 ასკერი 30 აფიცრისაგან შემდგარი შტაბით და ხელთ იგდო: ზარბაზნები, საომარი მასალის საწყობები, ცხენები და სხვა დიდი დავლა. დევიკთან სხვათა შორის გენერალს ხელთ უგდია: რკინის ყუთი, რომელშიაც აღმოჩნდა საიდუმლო მიწერ მოწერა ენვერ-ფაშასა, გენ. სანდერსსა და გენ. ბრონზარს შორის, სხვა და სხვა ორდენები და ოსმალეთის შტაბის უფროსის უბის წიგნაკი.

ხმები კავკასიის შესახებ

გიორგობისთვის 8-ის „რუსკოე სლოვო"-ში საყურადღებო ცნობაა მოთავსებული. გაზეთი სწერს: „მესამე დღეა, რაც აქ იყო ყოფილი მინისტრი ირ. წერეთელი. იგი კავკასიიდან ჩამოვიდა. მოსკოველ მოღვაწეთ წერეთელი ინახულეს და, როგორც მათ გადმოგვცეს, კავკასია უკვე ჩამოშორებულია რუსეთს და თავისი მთავრობა შეუდგენია. კავკასიაში უკვე შესდგა პარლამენტი, რომელშიაც მხოლოდ სხვა და სხვა სოციალისტური პარტიები შედიან. მათში მხოლოდ ერთია ბოლშევიკი".

ქართველ ჯარისკაცთა ფიცი

(წერილი რედაქციის მიმართ).

ვინაიდან საქართველოს მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე ქართველების რიცხვი შეადგენს 75 პროც., ჩვენ, შორეული ფრონტის ბრძოლის ველზე მყოფი ქართველი ჯარისკაცები, მივმართავთ ჩვენი ერის საუკეთესო შვილთ—ენერგიულად შეუდგნენ ისტორიულ საზღვრებში საქართველოს აღდგენას. ამ მიზნისათვის ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ. გაღმა არავის ვედავებით, გამოღმა გამომდავებელთ კი შეუბრალებელს პასუხს გავსცემთ. მომხდურს დამხდური უნდა!

კაპიტონ ჯ. ნუცკვაძე, ალექსი გონგლაძე, იასონ ხარბედიაშვილი, ალექსი ნაჭრებაძე, ზურაბ ჩიხლაძე, ვლადიმერ ნონიკაშვილი, კოლა გაზაშვილი, იაკინთე ფირცხალაშვილი, ილარიონ სალუქვაძე, დავით პაქსაშვილი, ლევან ჩუტკერაშვილი, სოლომონ ჯანაშვილი, იორდანე გოგიჩაიშვილი, გიორგი ჯაჯალაშვილი, ალექსი გოგიტაშვილი, დავით კვახაძე, იოსებ ხრიკული, იოსებ რეხვიაშვილი, ბარნაბ გეგეჭკორია, სერგო ჯანუცკვაძე, მელიტონ და ვასილ თხილაძეები, გრიგოლ ტერუნაშვილი, ნოე თავდიშვილი, მიხეილ ხიზანაშვილი, ივანე ბურჯულაძე, ვასილ გელაშვილი, აბრამ ოქროსაშვილი, გიორგი ოსაძე, მინაშე კოპობაშვილი, ვასილ ღერკენაშვილი, ნიკოლოზ ზაზაშვილი, მიტრო ჯელაძე, მენახე ჯანაშვილი, ვასო გოგიჩაშვილი, იოსებ ნადირაძე და გიორგი ახალკაცი.

საადგილ-მამულო კომიტეტის განცხადება

ვლადიმირ ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით, რომელიც თავის თავს სახალხო კომისარს უძახის, გამოქვეყნდა დეკრეტი მიწის შესახებ. საადგილ-მამულო საზოგადოების მთავარი კომიტეტი ამ დეკრეტს, რომელიც დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ერთი თვით ადრე გამოიცა, აღიარებს არა კანონიერად და ყალბად. ამ დეკრეტს ძალუძს ფესვი გაუდგას მხოლოდ უთანხმოებას და მტაცებლობას, რის გამო შეუძლებელი იქნება მიწის საკითხის სათანადოდ გადაჭრა. მიწის საკითხის გადაჭრა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ძალუძს. ამიტომ საადგილ-მამულო კომიტეტი მოუწოდებს ყველა გუბერნიის სამაზრო და სასოფლო სამიწო კომიტეტს არ შეასრულონ დეკრეტის მუხლები. დეე მცხოვრებლებმა იმედით უცადონ იმ წუთს, როდესაც მიწის საკითხი სათანადოდ გადაჭრილი იქნება დამფუძნებელ კრებაზე.

საადგილ-მამულო კომიტეტის გამგეობა

არჩევნები თბილისში

(შთაბეჭდილებანი)

დილით რომ გამოველ ქუჩაში, დავინახე კედელზე გამოსახული უშველებელი № 8, მეორე სახლზე № 6, ქუჩის კუთხეში კაი მოზრდილი წითელი ტილო და ზედ № 1, ავტომობილით ჯარის კაცები მიდიოდნენ, ხელში ეჭირათ № 3, ბიჭები ტრამვაის ვაგონში ისროდნენ ბლუჯა-ბლუჯა გაუქმებულ ფურცლებს № 16. ყოველი პარტია სცდილობდა რაიმე არა ჩვეულებრივ საშუალებით დაემონა მოქალაქეთა ყურადღება და მოეპოვა, რაც შეიძლება, მეტი ხმა.

კიბეზე ვდგევარ რიგში და ვუცდი, ვიდრე ჩემამდის მოაღწევს ჯერი. ჩემს წინ მოსამსახურე ქალი სდგას. ქართველია, ხანში შესული. ხელში უჭირავს სია № 8. მასთან კარგად ჩაცმული ქალიშვილი მოდის და ეკითხება, რატომ ამოირჩია № 8?

— იმიტომ რომ ქართველები არიანო,—უპასუხებს დედაბერი.

— მართალია,—ეუბნება ქალიშვილი,—მაგრამ აი მეექვსე ნომერი, ეს არის გლეხიკაცის პარტია, ამათ უნდათ ჩამოართონ ბატონებს მამულები და უფასოდ დაურიგონ გლეხებს.

— უფასოდ?—ეკითხება დედაბერი.

— სრულებით უფასოდ. ეგენი-კი მამულში ფულს გადაახდევინებენ და მერე მთელი 40 წელიწადი უნდა იხადო წვრილ-წვრილად მიწის ფასი.

— უი, ქა და, 40 წელიწადი რომ ბატონს მიწაში ფასი ვაძლიო, მაშინ მე როდისღა რას მოვესწრები?

— ჰო და ჩვენი სია აიღე, აა!

— ამას რაღა ჰქვიო?

— ეგ ბატონების პარტიაა!

— უი, თვალი კი დამიდგეს!—იყვირა დედაბერმა და ისროლა სია.—მომეც გენაცვა, მომეც გლეხების სია.

ქალიშვილმა გაატანა ერთი სია და ახლა სხვასთან მივიდა.

ამგვარ ცუდლუტობით გულმოსულმა, ვკითხე დედაბერს, აქვს თუ არა რაიმე მამული სოფლად.

— ექვსი დღიური მაქვს, შინ ქირიმე, ჯანი და ღონე შიგა მაქვს ჩანთხეული..

— ეგ სია, ეხლა რომ მოგცეს,—იმას ამბობს, რომ ზედმეტი მამული ყველას ჩამოერთვას უფასოდ და თანაბრად ყველას გაეყოს.

— როგორა? გლეხებსაც ჩამოართმევენ?

— ვისაც ზედმეტი აქვს, უსათუოდ ჩამოართმევენ.

— ქა და მე რომ ოფლი ჩამიღვრია ჩემ მამულში, ისიც აღარ დამიფასდება?

როცა ვუთხარ, რომ არც ამ გარემოებას [illegible] წარმომადგენლობაში და მამული [illegible] გადავა უფასოდ, დედაბერმა კინაღამ იტირა.

— მაშინ რაღა გამოვა?—მოსთქვამს ის,—დღეს მამული ჩემია, თავს ვევლები როგორც შვილს და... არა, არა, ისევ მერვე ნომერი მომეცით!—ბიჭი, იქვე მდგომი, მარდად მოვარდა და მისცა ეროვნულების სია...

როგორც იქნა, მივაღწიეთ ოთახს, სადაც მაგიდასთან სხდომნი ქალები და კაცები ამოწმებდნენ ამომრჩეველთა ვინაობას. აქაც ერთი ქალიშვილი დადის და ჰქადაგობს: ეროვნულების პარტია გაიყო! ზოგი მერვე ნომერს აძლევს ხმას, ზოგი მეთექვსმეტეს. შედეგი ის იქნება, რომ ეროვნულები ვერც ერთს კანდიდატს ვერ გაიყვანენ. ქართველებო! მიეცით ხმა მეექვსე ნომერს, თორემ თქვენი ხმა უქმად დაიკარგება. საჭიროება მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი ქართველი ამოვირჩიოთ. მიეცით ხმა მეექვსე ნომერს! ინებეთ!—სთავაზობს აქეთ-იქით სიებს,—მხოლოდ ჩვენი პარტია გაიყვანს ქართველებს, ეროვნულები შუაზე გაიპნენ! ეროვნულებში განხეთქილებაა!

— ეს სიცრუეა!—ამბობს სემინარიელი, რომელსაც ხელში მერვე ნომრის სიები უჭირავს.—ეროვნულებმა და ფედერალისტებმა თბილისში, ქუთაისში, გორში, ყველგან ერთი და იგივე ხმა მიიღეს საქალაქო არჩევნებში. განხეთქილებაც ეროვნულებში ხელოვნურად შეთხზული ჭორია. მეთექვსმეტე ნომერს ხმას არავინ აძლევს, რადგან უკანონო გამოდგა...

ხელცახოცი ამოვიღე ჯიბიდან და თან ამომყვა ჩემი ცოლის ამოსარჩევი ბარათი. ერთი ჩემი ნაცნობი ქალი იქვე ტრიალებს, მთხოვს: „ოღონდ მე მომეც ეგ ბარათი და თქვენ მეუღლეს აღარ მოუნდება რიგში დგომა, მე მივცემ იმის მაგივრადო"...

— როგორ?

— ეგ ჩემი საქმეა. მე მოვახერხებ. მეექვსე ნომერს ნურც ერთ ხმას ნუ დაუკარგავთ...

მადლობა გადავუხადე გარჯისთვის, მაგრამ მტკიცე უარი ვუთხარ. დეე, ყველამ თითონ მისცეს ხმა. ვნახოთ, რა იქნება შედეგი. მხოლოდ სულ მოკლეებმა იარონ სხვისი ფეხით...

ერეკლე ლუკაშვილი.

მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?

თრბ.

(შემდეგი *)

ჩვენ გვგონია, ნაირ-ურარტუ-ხეთას ტომნი დაიწყვნენ და მოეფინნენ მცირე აზიასა და შუამდინარის კუნძულებს მის შემდეგ, როდესაც გაუმართეს შეუბრალებელი ბრძოლა ასურელებს და ფარაონებს მსოფლიო მფლობელობისთვის, დამარცხდნენ და გაიფანტნენ და ამ გაფანტულთა მხოლოდ ნაწილი თანდათან შემოიკრიბა და გაავსო ის ქვეყანა, რომელსაც აწ ჰქვიან საქართველო და თან კიდევ ალბად ნაწილი გადაიკრიბა თავრიდას, სადაც მეფობა იწყო აიეტის ძმამ პერსემ და ქალმა ცირცამ, სხვები კი, რომელთაც ვერ მოასწრეს წამოსვლა, უთუოთ დაშთებოდნენ ადგილობანსვე და გაითქვიფებოდნენ მპყრობელ ერებში, მაგრამ გეოგრაფიული ტერმინები კი ისევ შეინარჩუნებდნენ თვის პირვანდელ სახელებს. ეს უკვე შენიშნეს ჰაიდ კლერკმა და სხ. მკვლევარებმა და მცირე აზიის მრავალი გეოგრაფიული სახელი ახსნეს ქართული ენის შემწეობით. ცნობილი მასისი აღმოჩნდა მესხის მთად, ვინაითგან ებრაულ დაბადებაში მესხს (მოსოხს) ჰქვიან მაში: მაშის—მასისი წმინდა ქართული დაბოლოების სახელია. იქვეა ვანი, ხოლო აქ (კახეთ-ჰერეთში) ალვანი=ალბანი=ალვანი, ალბათ მაღალი ვანი (სახლი, სავანე, ბანაკი, ბანი). სხვაგანაც საქართველოში ბევრგანაა სოფლები სახელით ვანი. ქალდეველებს დაბადება იცნობს აგრე-

---

*) იხ. „საქართ." № 253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე ურ-ქალდეველებად, ხოლო ური დიდი ქალაქი იყო შუამდინარეში, თვით საქართველოშიაც, უმთავრესად მტკვრის გამოყოლებაზე ბევრგან არის დაბა-სოფელი: ური, ურბნისი, ურჯვარი, ურთაჲ და სხვ. სომხური ჩვენი წოდება ვრაც ალბად არის იგივე ურაც, ე. ი. ურელი, რომლის მოწინააღმდეგოდ მოხმაურობს ი-ურელი, ივრელი, იორელი (ივრის ხეველი). შუამდინარეში იყო ქალაქი ოპისი, რომელსაც შეიძლება შევადაროთ ჩვენი ოპიზა.

დიოდორ სიცილიელი ქალდეველებს სთვლის ბაბილონის უძველეს მოსახლეებად. ძველის-ძველი ნაშთები ქალდეს იხსენიებენ აკკადის ტომად. ხოლო ქალდეა ჩვენ ვუტოლებთ ქართს, ქალდეველს, ქართველს.

ჯერ ისევ 7500 წლებში აკკადელებმა და მათ მეზობელ სუმერელებმა შექმნეს სწერლობა, იწყეს მადნეულობის შემუშავება, რუ-არხების თხრა, აგურით სახლების აგება, განავითარეს მათემატიკა, ვარსკვლავთმრიცხველობა. წელიწადი გაჰყვეს 12 თვედ, ჟამი 60 წუთად, კვირაში ჩათვალეს შვიდი დღე. ქვეყანა დაყვეს ოლქებად. ოლქებში გამართეს ქალაქები. მათი შეხედულობით მთელს ქვეყნიერობას შეიცავდნენ ბოროტი და კეთილი ანგელოზები. მათ შორის სწარმოებდა დაუსრულებელი ბრძოლა. ბოროტ ანგელოზების დასაძლევად საჭირო იყო ავგაროზი, შელოცვები, მისნობა.

ასეთივეა ქართული რწმენაც: მთელი არე-მარე მოუცავს სხვა და სხვა ანგელოზს: ყვავილისას (ბატონები), წყლისას (ალი, ჰინკა), ფუღუროსას (ოჯალეჯუნა), სეტყვისას, ქუხილისას, სიცივისას და სხვა. კეთილ ანგელოზს გაუჩენია ბადე, ბოროტს—თაგვი ბადის გასაგლეჯად, კეთილს—თაგვის მტერი კატა. მერე ვენახი, იხა, მგელი და სხ.

5000 წლების დასაწყისში აკკადსუმერს შემოსევიან ველურები. ათასის წლის განმავლობაში ამათ მთლად დაუმორჩილებიათ ადგილობრივი მკვიდრნი და შეუთვისებიათ მათი კულტურა და ასე წარმომდგარან სახელმწიფოები ბაბილონი და ასურეთი. ბაბილონელთ უმთავრეს ღმერთებად შეუქმნიათ მზე, მთვარე და ხუთი მნათობი, რომელთათვისაც მიუკუთვნებიათ კვირის დღეები: მზისთვის კვირა, მთვარისთვის ორშაბათი, მარსისთვის სამშაბათი და სხ. სწორედ იმნაირადვე, როგორც ძველ ქართულში: ა. მზის-დღე=მეუშ-ხა, ბ. მთვარის=თუთაშ-ხა, გ. არიასი (მარსისა)=თახასახ=თახაშ, დ. ჯუმაშხა, ე. ცაიშხა (ცის დღე), ვ. ოპ-ახა (დოისი), ზ. ქრონოსისა.

აკკადელების ქალ-ღმერთი იწოდებოდა ნინა-დ, ნანა-დ, რომელიც (მათებურად) აღნიშნავს დედას (შეადარე ჩვენებური ნენა, ნინა), „ნანაური“ ანუ „ნინაური“ ნიშნავდა ნინას მსახურს. ასრევე წარმოებულა ჩვენი არმაზაური (არმაზის მსახური), ნებიერი და სხ.

კიდევ ორიოდე მაგალითი: აბ—მამა, დო=და, ს=ს(ს), ურ=ური=ირ—ერი, ეს=ეს, იდუ=თუში, იბ—იბ (საბ=საბელი), კარაქ—ქალაქი, კა=გაზ—გეშვა, კაპეა, ქარ—მხარე, ხარღა, კა=კუ—ყელი, ყელა, კურ—ყური, მხარე, ლიკ—ლეკვი, გურ—გარეშე. მი=მე=მინე—ჩემი, მალ-ხარი, ცული, სარომთავარი (შეად. გოროგასარი). ტარ—მთავარი (შ. თარ-ანგელოზ—მთავარანგელოზი), ტიმ—თემი, ნერგ.

რომ შეგვეძინება მეტი მასალა, შესაძლებელი იქნება თვით აკკადსაც შევადაროთ ჩვენებური კტოეთი, რომლისაგან წარმოსდგა კახი (თუშ. კახი), კახეთი (თუშ. კოხეთ—საქართველო), ალბად შემდეგში მის გაგრძობად იყო კადუსი (აკადების, ნაკადულების ქვეყანა?)

სწავლულები იუწყებიან, ბერძნებს ორიოდე ღმერთს გარდა დანარჩენები შეუთვისებიათ ეგვიპტელებისა და კოლხებისაგანო. აქ, ჩვენში, (ალბად დღევანდელ ათენას, ქსნეთში) იყო სინათლის ღმერთი ათინა ანუ ათენა შეად. თენება, თინათინებ; მეგრ. თანაფა (=თენება) ნიშნავს ალიონს. იგივე ღმერთი შემდეგში დამკვიდრდა ათინაში.

ბერძნები რომ მოვიდნენ კოლხიდაში, აქ ნახეს წმიდა მუხა, რომელზედაც გადაფარებული იყო ოქროს საწმისი. ამგვარი მუხები და წმინდა ხეები დღესაც ბევრია ჩვენში, მეტადრე ფშავ-ხევსურეთში. თვით მყონდიდი ხომ მუხა-დიდს მოასწავებს. აგრეთვე მუხა რკონშია, ქართლში (რკონი აღნიშნავს მუხას) *) ამგვარივე წმ. მუხა აღზარდეს ბერძნებმა დოდონაში, და სწამდათ, რომ ამ მუხაში სცხოვრობსო მათი უდიდესი ღმერთი ზევსი. მუხ მიდიოდნენ ბედის გამოსაცნობად, წმიდა მუხისთვის დასაკითხად. თვით დაბადებამაც იცის მამბრეს მუხა, რომლის ქვეშ კაცს ეცხადებოდნენ ღმერთი და ანგელოზები (მსაჯ. 6—11; დაბად. 18—1).

მუხა მაღალი ხეა და უახლოვდება ცას, ღვთის სამყოფელს. მასთან შესაერთებლად მუხებს ჩვენში არტყმენ ჯაჭვებს, მოსაგონებლად იმისა, რომ ეს ჯაჭვები ოდესღაც ეკიდაო ციდამ და ითვლებოდაო კიბედ თხოვნის მისაწვდენად ღმერთამდის. ჯაჭვის მაგიერობას ხშირად ასრულებდაო წმ. რქოსანი ირემი, რომლის რქები იხმარებოდა კიბედ ცად მიმართ.

საბერძნეთში არტემიდა ითვლებოდა ღვთაებად სტიქიონისა, მთვარისა, მონადირეობისა და ნაყოფიერების მფარველ ღმერთად. მის ქანდაკებას მუდამ ახლდა (ყალხზე) მდგომი ირმის ქანდაკებაც.

ჩვენს **ხამშაბათს** ჰქვიან მეომრობის ღმერთის სახელი **არეახი**. პავზანი ამბობს: „გზაზედ სპარტიდამ თერაფნას აღმართულია ყველაზე უძველესი სიწმიდე—არეას საყდარი. ამბობენ, მისი ანდალმა დიოსკურებმა მოიტანესო კოლხეთიდამ. ქალაქ თერეიტონმა სახელი მიიღო თეროსაგან. ამბობენ, ეს იყოო არეას ძიძა. ალბად ამ ქალაქის სახელი ბერძნებმა მიიღეს კოლხებისაგან, რადგან თვით არ იცოდნენ, რომ თერო იყო არეას ძიძა“.

ჰეროდოტე ამბობს: ეგვიპტელების სიტყვით—კოლხები არიან სეზოსტრისის ლაშქრის ნაშთნი, ხოლო პეკატეს სიტყვით კოლხნი მოსხის (მესხის) გვარტომისანიო. ეგვიპტელნი და კოლხნი, განაგრძობს ჰეროდოტე, ერთად-ერთნი ხალხნია, რომელნიც ერთგვარად შეიმუშავებენ სელს. ყოფა-ცხოვრება, თვით მათი ენაც შეიცავენ ბევრს საერთოს. კოლხელების სელს ბერძნები უწოდებენ სარდონულს. ორიოდე მაგალითი ჰეროდოტეს ნათქვამის შესამოწმებლად.

აქაც და იქაც სულის ამღებელად ჩნდება პეპელა, მერე ტბაზე გადაჭიმული ძაფის ხიდი, იქით ცოდვა-მადლის ამწონელები, თვით აწონა და მადლიანის შესვლა სამოთხეში, სადაც მხოლოდ მხიარულებაა, რადგან წალკოტი სავსეა ხილით, ყვავილით და სხ. ცოდვილებს ხვდებათ ჯოჯოხეთი. მკვდარი საფლავიდამ გამოდის თუ დააკლდა საზდო. ეგვიპტელებმა იცოდნენ კატის თაყვანისცემა. აქ (ხევსურეთში) დაფიცვა იციან კატის ხელში აყვანით. იქ, ეგვიპტეში, აპისის (ხარის) თაყვანისცემა. აქ—ხარის ქადის საწმიდე, ილორისთვის საუცხოვო ხარის გამორჩევა და ნებით მისი მოსვლა ტაძარში. მწრომელ ხარს ანგელოზები რქებზე უნთებენ სანთელსო.

რელიგიურ რწმენას შეუქმნია თვით ამირან-პრომეთეს დიდებული ლეგენდაც. ამირანის ლეგენდა აშენდა იმავე მუხა-კიბის რწმენაზე; კაცს თავის გულის კუნჭულში მუდამ აქვს მიმალული სურვილი, კაი იქნებოდაო მქონოდა შეძლება ავსულიყავი ცამდე და მის იქითი მსოფლიო გამეცნო. ამგვარ სურვილმა დაჰბადა გადმოცემა ციდან დაკიდებულ ოქროს ჯაჭვის შესახებ, აგრეთვე ცაში აღმართულ ირმის რქებისა, სალმითი მუხაკიბისა, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალისა, რომელზედაც მიჯაჭვულიაო ბუმბერაზი ღმერთ-კაცი ამირანი; ამავე რწმენაში აქვს დასაბამი იმას, რომ საქართველოსა, საბერძნეთსა, სპარსეთში და სხვა მრავალ მთიან ქვეყნებში ტაძრები, ეს ღმერთთა სადგურები, აგებულია მთის მწვერვალებზე. ღმერთნი ღმერთობდნენ აქ არმაზის, ბორცვის, ზედაზნის, ოხვამერიონის გორებზე, იქ—ოლიმპის მთაზე, სპარსეთს—დემავენდის ანუ იქაურ ლაბუზის (კავკასიონის) მწვერვალებზე.

ციდან და ცათა ცათადამ კაცს მოსდიოდა სინათლე, სითბო, სიგრილე, მანაყოფიერებელი წვიმა და ყველა ამ მოვლენებს თაყვანსა სცემდა, და არა თუ ამ მოვლენებს, არამედ ისეთებსაც, ვით ქუხილი, სეტყვა, ქარტეხილი, თოვლი, ზვავი: ზოგს როგორც კეთილებს, რომელთაც მადლობა ეკადრებოდათ, ზოგს-კი როგორც ბოროტებს, რომელთაც დაწყალობება შვენოდათ, რომ თავიანთ ბოროტ-მოქმედებით ზიანი არ მიეყენებინათ ადამიანის სახლ-კარის, ყანა-ვენახის და სარჩო-საბადებელისთვის. ესეთი ორგვარი—კეთილი და ბოროტი—დასაწყისი შენიშნეს ქარებშიაც, ცხოველებშიაც, მცენარეებშიაც და თვით ადამიანებშიაც; საზოგადოდ ჰქონდათ სიკეთე ანუ ვნება. ამნაირად თითოეულში განსახიერდა ორი დასაბამი, ორი ანგელოზი, კეთილი და ბოროტი, ვით, მაგ., ყვავილს, ქარს, ფუძეს და სხ. თვით საიქიოც-კი დაიყო ორნაირად: საუკუნო განსასვენებელ მორთულ-მოკაზმულ და სამარადისოდ განათებულ სამოთხედ და მდუღარე კუპრიან, გველ-ვეშაპებთან და კუკუმათით ჩაბნელებულ ჯოჯოხეთად.

ამირანი გაჩნდა ჯერ ისევ იმ დროს, როდესაც ადამიანი იმყოფებოდა უსუსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯერ არ ჰქონდა ცეცხლი,*) რომ ან გამთბარიყო, ან მოეხარშა, ან გამოეჭედა საომარი იარაღები ასაგებათ სახლებისა, ნავებისა, მოსახნავად მიწისა, საბრძოლად მტერთან და სხ. მაშინ კაცი უძლურად შეხვეტილი იყო მწვეტიან ქვებით გამოჭრილ კლდეთა გამოქვაბულებში ან ყამირების მიწურებში. იარაღებადაც ჰქონდა ქვის წერაქვები, ქვის ან რქის ისრები, ქვის ცულები, ქოთნები, ფილთაქვები[1]), ტანს იბლარდნიდა ნადირის ტყავით, რომელსაც ჰკერავდა ნადირისავე ძარღვებით ან მის დაგრეხილ ნაწლავებით. მაშინ სუფევდა აგრედ წოდებული ქვის-ეპოქა.

ამგვარ ყოფას, ამ ქვის ეპოქას ბოლო მოუღო ამირანმა: მან ზეცას მოსტაცა და კაცთ მოუტანა ცეცხლი და გაიმართა პირველი სამჭედლო, პირველი ქურა, და იმ დღიდგან გაღმერთდა პირველი მჭედელი, რადგან კაცს მისცა სახსარი იარაღების შეწყობით ახალ ცხოვრების შესაქმნელად, გაღმერთდა პირველი მე-კურავე (იგივე მე-კარპე, მეკარვე), რომლის მოვალეობად შეიქნა კერაში გაუქრობლად ჰქონოდა იგეთი მადლი, ვით ცეცხლი, რომელიც აგრეთვე შეიქმნა თაყვანის-საცემელ ღვთაებად.

მაგრამ მადლიან კაცს ხშირად სამსახური არ უფასდება, პირიქით წილად ჰხვდება დევნა და ტანჯვა. ამირანსაც ეგრე დაემართა: მას გაუწყრა ღმერთი ჯერ იმიტომ, რომ ციდამ მოსტაცა ცეცხლი და კვლავ იმიტომ, რომ მოსტაცა ქალი, ქეთუ (=ყამარი). ღმერთი თითონ ცაში სუფევდა, ხოლო მისი ასული—ოქროვან კოშკში, რომელიც ციდან ჩამოკიდებული ჰქონდა ჯაჭვით. ამირანი ბეწვის ხიდით ზღვაზე გადავიდა „საკეისროში“, მივიდა მიწიდან მაღლა მაღლა კიდებულ კოშკის ძირს. ახლტა გმირულად, აწყვიტა ჯაჭვი, კოშკი დაეშვა ძირს, ქალი შეისვა რაშზე და გამოჰქროლა. ყველა ამისთვის მიესაჯა მას მიჯაჭვა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე, ხოლო მისაჯაჭვი სამი ჭედლები გამოუჭედა მის მეურვე გაბედნიერებულ მჭედელმა, რომელიც ამიერიდან გადაექცა ამირანს. მასთან დაბმულიაო აგრეთვე ორბის ფრთიანი ძაღლი ყურშა, რომელიც [illegible] ბარკლებს ილოკავდა გარღვეულიყო. ერთგული ყურშა მთელის წლის განმავლობაში ჰლოკს ჯაჭვს და რომ გაწყვეტაზე მიიყვანს ლოკვით, მჭედელი კვერს დაჰკრავს თავის სამჭედლოში და ის ამირანის ჯაჭვი ისევ გამაგრდება და გამაგრდება. ასე ბრუნავს [illegible] ამ გულს და ასე მარადის. [illegible] საბერძნეთიდან მოვიდა ქალი იო და სთხოვა შერიგებოდა ღმერთთა ზევსს, მაგრამ ამირანმა შერიგება უარჰყო.

ახლა ვიკითხოთ, ვინ უნდა ყოფილიყო ამირანი, ის კაცი, რომელმაც თავის ერსა და კაცობრიობას მოუტანა ცეცხლი, აღმართა პირველი სამჭედლო და ქვის ეპოქიდამ კაცს ხაიჯი გადაადგმევინა ჯერ ბრინჯაოს ეპოქაში, მერე რკინისაში?

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) 2 მეფ. 18—9; ხან რკოც მუხას მაგიერ: ოსე 4—13, ესაია 6—13.

*) აპოლოდორით, პრომეთეოსმა ადამიანები გააჩინა წყლისა და მიწისგან და მისცა მათ ცეცხლი ფარულად ზევსისა.

[1]) ძველის-ძველი დროის ნაშთი უნდა იყოს ქართ. წერა=მეგრ. ჭარუა, ალბად ზმნიდამ ჭრა. შეად. საჭრეთელი. წინად ხომ კლდეებზე იჭრებოდა, იწერებოდა!

ვისაც ბიულეტენი არა გაქვთ, ამოსჭერით მე-3 გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული სია და მიეცით.

კორესპონდენცია

ქართლიდან.

გორი. გორელები დიდი ხანია მოველოდით ქართველ ლაშქრის მოსვლას. პირველად მოვიდა სპარსეთში მომქმედი ქართული პოლკის ერთი ბატალიონი და სამი-ოთხი დღის შემდგომ დასტოვა გორი და წავიდა ქუთაისში. მიზეზი მათი წასვლისა იყო ის, რომ ადგილობრივმა მართველობამ არ მისცა არც ბინა და მასთანვე ერთგვარი არა-სტუმართმოყვარეობაც გამოიჩინა. მაგრამ შემდეგ დევარდა ხმა, რომ იმავე პოლკის ერთი ბატალიონი, წოდებული „[illegible] ქართულ [illegible] ქვეითი პოლკად“, მოდისო. ადგილობრივი მართველობა კიდევ უხეიროდ მოიქცა, შეუძლებელია იმიტომ, რომ ძალიან არიან გადატვირთულები არჩევნებით. ამ ტომ ც მისაღებად იკისრა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გორის ორგანიზაციამ. პარტიამ მიჰმართა დასახმარებლად გორის ქართველ ვაჭართა კავშირს, რომელმაც ეს წინადადება სიხარულით მიიღო და კიდევ მიუდგნენ გორელებ[illegible] სადგურ[illegible]. 11 ნოემბერს ბატალიონი მოვიდა. ეროვნულ-დემოკრატთა მიწვევისთანავე შეგროვდა ხალხი, გამოიტანეს დროშები, გაიარეს ზურნით დიდ ქუჩებზე, დაატარეს სავაჭროებში და ხუთი ათას კაცამდე გაემართნენ სადგურისაკენ.

სადგურის გარშემო გაშლილ მოედანზე დახვდა ქართული ჯარი მწყობრად.

მოვიდა ამ დროს ეტლით გორის ქალაქის წარმომადგენელი და ვაჭართა ლაშქარს სიტყვით მიულოცა ჯარს და მოაგონა პირველი ნომრის მნიშვნელობა და ისიც, რომ ხმა მიეცათ. [illegible] სოფლის [illegible] საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება [illegible]. შემდეგ ქალთა წარმომადგენელმა [illegible] პურ-მარილი და [illegible] სიტყვა წარმოთქვა.

ბოლოს მოსულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ყველა სხვა პარტიებისა და ვაჭართა კავშირის წარმომადგენელი ა. კვალიაშვილი და სხვები. რადგან დაგვიანებით არ იცოდნენ გორელებმა დრო ჯარის მოსვლისა, იმ დღესვე ვერ მოახერხეს წვეულების გამართვა. [illegible] სადილად მიიწვიეს ჯარის წარმომადგენელნი, ზ. ქიტიაშვილმა სადილად დაუწინ[illegible] დიდ დარბაზი მომწყობს ჯგუფთა წარმომადგენელნი და მთელი ჯარის წვეულება გადაიდო შემდეგი კვირისათვის. ხალხი აღტაცებით დახვდა ქართველ ლაშქარში ჰხედავდა თვის მხსნელებს ყველა იმ უწესოებისაგან, რომელიც გავრცელებულია გორსა და მის მაზრაში.

მაშ ვუსურვოთ ქართველ ლაშქარს წარმატება და სიმხნევე რაინდული მომავალში.

გორელი.

ღია წერილი ბ. გრიგოლ რობაქიძეს

საზოგადოება „იმედის“ გამგეობა სრულ თანაგრძნობით ეგებება თქვენს კეთილშობილურ სურვილებს ჩვენი სკულპტორის იაკობ ნიკოლაძის შესახებ, რომ მის შემოქმედებას მიეცეს თავისუფალი და ამ თავისუფლების [illegible], აქვეყნებს მოწყალებისთვის ამ ხნობით აღებს თვის წვლილს ორმოცდაათ თუმანს (500 მ.) და იყოს ეს თანხა იმ საძირკვლად, რომელსაც ყოველთვის გულუხვნი ქართველნი მოაშენებენ. სრული სიმართლეა თქვენს სიტყვებში: ერთი საზოგადოებამ მიჰხედოს თვისი ნიჭიერი შვილის მდგომარეობას და თვისის თანაგრძნობით მუდამ ერთგულებით ჰყოს მისი შემოქმედება.

საზოგადოება „იმედის“ გამგეობის თავმჯდომარე ნინო ყიფიანისა.

P. S. ფული, 500 მანეთი გადაეცემა გაზეთ „საქართველოს“.

რედაქტორი [illegible]

კალენდარი

ხუთშაბათი,
გიორგობისთვის
16

ქართვ. წმ. მოც. და მახარებლისა მათესი.

კათოლ. წმ. ედმუნდისა.

სომეხ. წმ. გურიასი.

მაჰმად. პიანჯ შანბე 13 რ. სეფერისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომხამიშ 15 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყ. შექ.